შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №6483

2024 წლის 26 მარტი

ქ. თბილისი

სოიოს და მზესუმზირის შროტის ბუნებრივი დანაკარგის ნორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-11 ნაწილის, „დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების დამდგენი უფლებამოსილი ორგანოს განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №2547 განკარგულების პირველი პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აგრეთვე, დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების შემმუშავებელი კომისიის 2023 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებისა (ოქმი №2) და დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების შემმუშავებელი კომისიის 2024 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილების გათვალისწინებით (ოქმი №1), **ვბრძანებ:**

1.დამტკიცდეს სოიოს და მზესუმზირის შროტის ბუნებრივი დანაკარგის ნორმები, ამ ბრძანების №1 დანართის შესაბამისად.

2.ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სოიოს და მზესუმზირის შროტის ბუნებრივი დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ნორმები

დანართი №1

ოპერაციის დასახელება	დანაკარგის ნორმა (%-ში მასიდან)
სოიოს შროტი სეს ესნ კოდი: 2304	
შენახვა	0.50
მზესუმზირის შროტი სეს ესნ კოდი: 2306	
შენახვა	0.50

შენიშვნა: შენახვის დანაკარგი ასევე მოიცავს ქვეყნის შიგნით ნებისმიერი ფორმით ტრანსპორტირების დანაკარგს.

სამსახურის უფროსი ლევან კაკავა